საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/660
01.05.2026

ბრძანება

660-01-4-202605011036

ფ/პ გიორგი თვალაძის (პ/ნ) მიერ შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ (ს/ნ 405376828) 70%-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11[1] მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8[1] მუხლის, მე-16 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გადაწყვეტილება ფ/პ გიორგი თვალაძის (პ/ნ) მიერ შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ (ს/ნ 405376828) 70%-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ თანდართული სახით.

2. ფ/პ გიორგი თვალაძის (პ/ნ) მიერ შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ (ს/ნ 405376828) 70%-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებული კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად.

3. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში შეტყობინების წარმომდგენ პირს.

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან/და საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

ფ/პ გიორგი თვალაძის (პ/ნ) მიერ შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ (ს/ნ 405376828) 70%-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსათვის (შემდგომში - სააგენტო) წინასწარ სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციების შესაძლო ფაქტების გამოვლენის მიზნით, სააგენტომ 2026 წლის 08 იანვრის N02/3 წერილით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოითხოვა ინფორმაცია 2025 წლის პირველი ოქტომბრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში ქვეყანაში განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ. მიღებული ინფორმაციის[1] ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2025 წლის 29 დეკემბერს ფ/პ გიორგი თვალაძემ (პ/ნ) შეიძინა შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ (ს/ნ 405376828) 70%-იანი წილი და ეს ტრანზაქცია, სავარაუდოდ, ექვემდებარებოდა სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას.[2]

ფ/პ გიორგი თვალაძის (პ/ნ) მიერ შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ (ს/ნ 405376828) 70%-იანი წილის შეძენის ფაქტთან დაკავშირებით, 2026 წლის 15 იანვარს სააგენტომ დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს - ფ/პ გიორგი თვალაძეს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ეთხოვა პოზიციის, ტრანზაქციასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და კონცენტრაციაში მონაწილე, აგრეთვე მათთან დაკავშირებული პირების ერთობლივი შემოსავლების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა.[3] გარდა ამისა, სააგენტომ ამავე წერილით მხარისაგან ითხოვა ინფორმაციის წარმოდგენა თუ რატომ არ მოხდა სააგენტოსთვის წინასწარი შეტყობინება და არსებობდა თუ არა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11[2] მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საგამონაკლისო შემთხვევა. სააგენტოს წერილის პასუხად, მხარემ წარმოადგინა საკუთარი პოზიცია, ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე და მათთან დაკავშირებული პირების ერთობლივი შემოსავლების შესახებ, წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, სადამფუძნებლო შეთანხმება და კომპანიის განახლებული წესდება.[4]

სააგენტოს მიერ დამუშავებული მონაცემებით დადგინდა, რომ შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ 70%-იანი წილის შეძენით გიორგი თვალაძე ეკონომიკურ აგენტზე

---

[1] სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 09.01.2026 წლის N2524 წერილი (სააგენტოში რეგ. N 01/140).

[2] სტრატეგიული ბაზრების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის 2026 წლის 15 იანვრის N03/31 მოხსენებითი ბარათი.

[3] სააგენტოს 2026 წლის 15 იანვრის N02/216 წერილი.

[4] ფ/პ გიორგი თვალაძის 2026 წლის 12 თებერვლის N01/1389 წერილი.

მოიპოვებდა იმგვარ უფლებებს, რაც მას შესაბამის ეკონომიკურ აგენტზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას აძლევდა და, მაშასადამე, სახეზე იყო კონცენტრაცია.[5] განხორციელებული კონცენტრაცია აკმაყოფილებდა „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს კონცენტრაციის განხორციელების წინა ფინანსური წლის მდგომარეობით ერთობლივი შემოსავლების ნაწილში.[6] კერძოდ, შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ (ს/ნ 405376828) ერთობლივი შემოსავალი 2024 წელს შეადგენდა

ლარს, ხოლო ფ/პ გიორგი თვალაძის (პ/ნ) ერთობლივი წლიური შემოსავალი (რაშიც „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის №39 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მოიაზრება როგორც თავად კონცენტრაციაში მონაწილე პირის, ასევე მის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი საწარმოების ერთობლივი შემოსავლების ჯამი) –

ლარს.[7] ამდენად, ზემოაღნიშნული ორივე სუბიექტის ერთობლივი შემოსავალი აჭარბებდა ხსენებული ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ მინიმალურ ზღვარს.

---

[5] კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად: „კონცენტრაციად მიიჩნევა ასევე ფასიანი ქაღალდების ან წილის შეძენით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირი ან ირიბი, სრული ან ნაწილობრივი კონტროლის მოპოვება სხვა ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ ან სხვა ისეთი ერთი ან რამდენიმე პირის მიერ, რომელიც/რომლებიც ამ კანონის მიზნებისთვის არ არის/არ არიან მიჩნეული ეკონომიკურ აგენტად/ეკონომიკურ აგენტებად და რომელიც/რომლებიც უკვე აკონტროლებს/აკონტროლებენ სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს“. ამასთან, ევროკავშირის პრაქტიკაში გამოყოფენ ერთპიროვნული და ერთობლივი კონტროლის ცნებებს, სადაც ერთპიროვნული კონტროლი გულისხმობს სტრატეგიული გადაწყვეტილებების ცალმხრივად და დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას. იურიდიულ საფუძველზე ერთპიროვნული კონტროლის მოპოვების ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა, როდესაც პირი იძენს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების/წილების უმრავლესობასა და ამასთან დაკავშირებულ უფლებებს. კონტროლის უფლების მოპოვებისათვის, როგორც წესი, სუბიექტის მიერ შეძენილი წილები/აქციები უნდა მოიცავდეს ხმათა უმრავლესობის მოპოვებას. პირდაპირი კონტროლის ნათელი მაგალითია სწორედ ხმის უფლების მქონე წილების ან აქციების უმრავლესობის მოპოვება.

[6] სააგენტოსათვის შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ერთობლივი შემოსავალი აღემატება 5 მილიონ ლარს. ამასთან, წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ჯამური ერთობლივი შემოსავალი: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი საწარმოები; გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.

[7] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების სისტემის მონაცემები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 02 მარტის ბრძანებით ფ/პ გიორგი თვალაძის (პ/ნ) მიერ 70%-იანი წილის შეძენა მიჩნეულ იქნა კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების სააგენტოს მიერ სავალდებულო განხილვის გარეშე განხორციელებულად.[8] იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ შემთხვევაში კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულება გააჩნდა ფიზიკურ პირს - გიორგი თვალაძეს, რომელიც არ წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტს, მისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობა განისაზღვრა 10 000 ლარის ოდენობით.

სააგენტოში 2026 წლის 25 მარტს N01/2717 და N01/2722 წერილებით შემოვიდა შეტყობინება ფ/პ გიორგი თვალაძესა და შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალს“ შორის განხორციელებული კონცენტრაციის თაობაზე. აღნიშნული შეტყობინება ცნობილ იქნა დასაშვებად და მხარემ სააგენტოში წარმოადგინა შეტყობინების განხილვისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე პირთა შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - მისი ფორმა, მიზანი;
-კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული პირები, მათი ერთობლივი შემოსავლები 2024 წელს;
- კონცენტრაციის აღწერა - მხარის მოსაზრება შესაბამის ბაზართან დაკავშირებით, უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნეს-გეგმები, კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა, მოლოდინები კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ. ასევე, საკითხები, რამაც მხარეთა მოსაზრებით შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც სააგენტოს მიერ ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული.

<u>ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:</u>

კონცენტრაციის განხორციელებამდე კომპანია შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ (ს/ნ 405376828) კაპიტალში არსებული წილები შემდეგნაირად იყო განაწილებული: 80%-იან წილს ფლობდა თეიმურაზ კონიაშვილი (პ/ნ), 10%-იან წილს - თამარი კონიაშვილი (პ/ნ), დარჩენილ 10%-ს - კაროლინა კონიაშვილი კუზნეცოვა (პ/ნ). განსახილველი ტრანზაქციის შედეგად, კომპანია შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ (ს/ნ 405376828) 70%-იანი წილის მესაკუთრე ფ/პ გიორგი თვალაძე (პ/ნ) გახდა.

[8] საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 02 მარტის ბრძანება N04/340.

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტები:

ფ/პ გიორგი თვალაძე ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში:

- შპს „ბიდი პლიუსი“ (ს/ნ 400177615) – 74%;
- შპს „ბიდი ჰოლდინგი“ (ს/ნ 400342143) – 25%;
- შპს „ტრეიდ ინვესტ ჯორჯია“ (ს/ნ 206294874) – 70%;
- შპს „ემთიეს კომპანი” (ს/ნ 205295287) – 100%;
- შპს „ბიდი კომპანი“ (ს/ნ 400192643) – 100%, რომელიც, თავის მხრივ, ფლობს შპს „ბას გრუპის“ (ს/ნ 404514780) 100%-იან წილს;
- შპს „ქართული ფერმა“ (ს/ნ 406204110) – 37%;
- შპს „ჯი-აი-ჯი-ჯი“ (ს/ნ 405477103) – 25%;
- შპს „გეო ლოჯისტიკ“ (ს/ნ 405282439) – 10%.

მხარეთა მითითებით, არცერთი დაკავშირებული ეკონომიკური აგენტი არ საქმიანობს გაცხადებული კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე. ჩამოთვლილი ეკონომიკური აგენტებიდან ამჟამად ფუნქციონირებს მხოლოდ შპს „ბიდი პლიუსი“ (ს/ნ 400177615) და შპს „ბიდი ჰოლდინგი“ (ს/ნ 400342143). შპს „ბიდი პლიუსი“ საყოფაცხოვრებო ქიმიური და სხვა ჰიგიენური საშუალებების იმპორტიორი და დისტრიბუტორია, ხოლო შპს „ბიდი ჰოლდინგი“ საკონსულტაციო კომპანიაა.

კონცენტრაციის ფორმა:

განხორციელებული კონცენტრაციის ფორმა არის წილის შეძენის გზით ეკონომიკურ აგენტზე კონტროლის მოპოვება. კერძოდ, ფ/პ გიორგი თვალაძემ (ს/ნ 01008011834) შეიძინა შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ (ს/ნ 405376828) 70%-იანი წილი.

კონცენტრაციის მიზანი და გეგმა:

მხარეთა განმარტებით, ფ/პ გიორგი თვალაძის მიერ წილის შეძენა რამდენიმე სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებას ემსახურება. უპირველეს ყოვლისა, ეს განპირობებულია „ჰუმანას“ ბრენდის მაღალი ცნობადობითა და კარგი რეპუტაციით, როგორც ევროპულ, ისე ქართულ ბაზარზე. აღნიშნული ნაბიჯი ხელს უწყობს ბიზნეს რისკების ეფექტურ დივერსიფიკაციასა და დამატებითი მოგების მიღებას. იქიდან გამომდინარე, რომ შემძენის ბიზნეს საქმიანობის სფეროებისგან სრულიად განსხვავდება კომპანია შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ საქმიანობა, საინტერესო გამოწვევა და სიახლე იქნება აღნიშნული ტრანზაქცია შემძენის საინვესტიციო პორტფელში. შემძენი გეგმავს კომპანია შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ გაძლიერებასა და ინვესტირებას კომპანიის ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

მხარეთა პოზიციით, მაშინ, როდესაც კონცენტრაციის მონაწილე მხარეები ერთი და იმავე სასაქონლო ბაზრის მონაწილეები არ არიან, კონცენტრაცია ბაზარზე არსებით ცვლილებებს ვერ გამოიწვევს. შესაბამისად, მათი შეფასებით, კონცენტრაციას არ ექნება რეალური შედეგები არსებულ ბაზარზე და აღნიშნულის გათვალისწინებით გამორიცხულია კონცენტრაციის შედეგად ბაზარზე რაიმე სახის უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა.

შეტყობინების ფარგლებში, მხარეებმა განსაზღვრეს ის საკითხები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რასთან დაკავშირებითაც მათი მოსაზრებით, სააგენტოს მიერ ყურადღება უნდა გამახვილდეს. კერძოდ, ტრანზაქცია არ დააზიანებს მომხმარებლებს, რადგან არ ექნება უარყოფითი გავლენა ფასებზე, პროდუქტის ხარისხზე ან/და ასორტიმენტზე (1), ტრანზაქცია არანაირ გავლენას არ მოახდენს არცერთ შესაბამის ბაზარზე, სადაც წარმოდგენილნი არიან კონცენტრაციის მონაწილეები ან/და მათი ურთიერთდამოკიდებული პირები, შესაბამისად, ბაზრების სტრუქტურა და დინამიკა რჩება უცვლელი (2), კომპანიის მეწილე გახდა გამოცდილი ბიზნესმენი, რომელიც თავის ცოდნასა და გამოცდილებას მის განვითარებას მოახმარებს (3).

შეტყობინებაში მოცემულია მხარეთა პოზიცია შესაბამის ბაზართან დაკავშირებითაც. მითითებულია, რომ კომპანია შპს ,,ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ საქმიანობის სფეროს ბავშვთა საკვების იმპორტი და დისტრიბუცია წარმოადგენს. განსახილველი კონცენტრაციის მხარეები და მათთან დაკავშირებული პირები ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა ბაზრებზე - არც შემძენი და არც მასთან დაკავშირებული რომელიმე სუბიექტი არ საქმიანობს განსახილველი კონცენტრაციის შესაბამის ან მასთან დაკავშირებულ ბაზარზე. მხარეებს მიაჩნიათ, რომ შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები ღიად უნდა დარჩეს და არ არსებობს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის საჭიროება, რაც მათი პოზიციით გამომდინარეობს განსახილველი კონცენტრაციისა და მისი შეფასების მიზნებიდან, აგრეთვე ასეთ საქმეებში სააგენტოსა და ევროკავშირის პრაქტიკიდან.

აგრეთვე მხარეთა პოზიციით, შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიულ საზღვარს წარმოადგენს ეროვნული დონე - საქართველო, თუმცა, მიაჩნიათ, რომ პროდუქციული საზღვრის განსაზღვრის მსგავსად, არ არის საჭირო გეოგრაფიული საზღვრების ზუსტი დადგენა, რადგან განსახილველ შემთხვევაში გეოგრაფიული ბაზრის შემდგომი კონკრეტული განსაზღვრა არ შეცვლის ტრანზაქციის შეფასებას და არ ექნება საქმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა. რაც შეეხება შესაბამისი ბაზრის დროით ჩარჩოს, მხარეთა შეფასებით, პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია დროითი ჩარჩო.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით

გამოწვეული და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით,„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11^1 მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად.
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ 7 ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის დაკისრების პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით.

3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. თავის მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს ,,კონკურენციის შესახებ“ კანონის მიზნის მისაღწევად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს კანონდამრღვევი ეკონომიკური აგენტი მოქმედებდა განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, კანონდამრღვევი პირი მოქმედებდა მხოლოდ მოგების მიღების მიზნით (დამამძიმებელი გარემოება) თუ რთული ეკონომიკური მდგომარეობის ან განსაკუთრებული გარემოებების თავიდან ასაცილებლად (შემამსუბუქებელი გარემოება), აღიარებს თუ არა ეკონომიკური აგენტი კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტს, პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. შესაბამისად, ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები.

4. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ერთობლივი შემოსავალი აღემატება 5 მილიონ ლარს.

5. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ერთობლივი შემოსავალი: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი ეკონომიკური

აგენტები; გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.

6. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით - შემენით, ხელშეკრულებებით ან სხვა 8 საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში – შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება(თ) შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირ(ებ)ს.
7. კანონის 11^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისათვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს.
8. კანონის 11^1 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

   ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;
   ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა.

9. კანონის 11^1 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა.
10. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11^1 მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.

11. კანონის 11[1] მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია.
12. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი.
13. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტები განსაზღვრავს დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. კერძოდ, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული აქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის შეფასების პრინციპები, მეთოდები და შესაბამისი 9 კრიტერიუმები, ხოლო „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული აქტი ადგენს სასაქონლო ბაზრის შესწავლისა და შეფასებისათვის საჭირო პრინციპებსა და მეთოდებს.
14. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

III. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.[9]

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოში წარმოდგენილი შეტყობინების თანახმად, შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალი“ დაკავებულია ბავშვთა კვების პროდუქტების იმპორტითა და რეალიზაციით. კერძოდ, მისი ასორტიმენტი მოიცავს ბრენდ HUMANA-ის პროდუქციას, მათ შორის და არა მხოლოდ რძის ფხვნილებს, ფაფებს, პიურეს, იოგურტს და სხვა. კომპანია შპს „ბიდი პლიუსი“ (ს/ნ 400177615) დაკავებულია საყოფაცხოვრებო ქიმიური და სხვა ჰიგიენური საშუალებების იმპორტითა და დისტრიბუციით, ხოლო კომპანია შპს ,,ბიდი ჰოლდინგი“ (ს/ნ 400342143) საკონსულტაციო საქმიანობას ეწევა.

შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირების მიზნით, სააგენტომ შეისწავლა ეკონომიკური აგენტების პროდუქციის სრული ასორტიმენტი, რის შედეგადაც დადგინდა, რომ სამიზნე ეკონომიკური აგენტის პროდუქციის ასორტიმენტი ძირითადად მოიცავს საბავშვო რძეს (მათ შორის რძის ფხვნილს, დედის რძის შემცვლელს), რძიან და ურძეო ფაფებს, პიურეს, იოგურტებს, პუდინგებსა და სხვა სახის დესერტებს. რაც შეეხება კომპანია შპს „ბიდი პლიუსს“, მის მიერ იმპორტირებულ პროდუქციას საყოფაცხოვრებო ქიმიური და სხვა კოსმეტიკური და ჰიგიენური საშუალებები განეკუთვნებიან.

ეკონომიკური აგენტების პროდუქციის სრული ასორტიმენტის შესწავლის შედეგად, სააგენტომ განსაზღვრა რამოდენიმე შესაბამისი ბაზარი, რომელთა შესწავლის საფუძველზეც უნდა დადგინდეს თუ რამდენად თავსებადია განსახილველი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან.

უპირველეს ყოვლისა, სააგენტომ მიიჩნია, რომ ცალკე პროდუქციულ ბაზრად უნდა იქნას მიჩნეული საბავშვო რძე, ვინაიდან, იგი არ არის ჩანაცვლებადი სხვა ბავშვთა კვების პროდუქტებთან მიმართებით. დამოუკიდებელ პროდუქციულ ბაზრად არის მიჩნეული საბავშვო რძე ევროკომისიის მიერ მყარად დადგენილი პრაქტიკითაც.[10] საბავშვო რძე

---

[9] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის N 37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

[10] კომისიის 2007 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება N COMP/M.4842 - DANONE / NUMICO, პარაგრაფი 9; კომისიის 2007 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება N COMP/M.4688 - NESTLE / GERBER, პარაგრაფი 14; კომისიის

შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ფხვნილის, ასევე სითხის სახით და წარმოადგენს მცირე ასაკობრივი კატეგორიის ბავშვებისათვის (0-დან 36 თვემდე) პირველადი მოხმარების საკვებ პროდუქტს. ამასთან, აუცილებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ჩვილთათვის განკუთვნილი რძე მცირე ასაკის (1-დან 3 წლამდე) ბავშვთათვის განკუთვნილი რძისაგან. შემადგენლობისა და რიგი თავისებურებების გათვალისწინებით, 0-დან 6 თვემდე ჩვილთათვის და 6-დან 12 თვემდე ბავშვებისათვის განკუთვნილი ე.წ. Infant and Follow-on (IFFO) რძე, რომელიც ძირითადად ფხვნილის სახით იყიდება და 1-დან 3 წლამდე ასაკის ბავშთათვის განკუთვნილი ე.წ. Growing-Up (GUM) რძე, რომელიც შეიძლება გაიყიდოს როგორც ფხვნილის, ასევე სითხის სახით, სხვადასხვა პროდუქციულ ბაზარს წარმოადგენენ. IFFO ანუ 0-12 თვემდე ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი რძე (ფხვნილი) სამედიცინო თვალსაზრისით დედის რძის გარდა ერთადერთი სახის რძედ არის მიჩნეული, რომელიც ამ ასაკის ბავშვებისათვის კვებითი თვალსაზრისით დასაშვებია. ერთი წლის ასაკის შემდგომ კი ბავშვთა კვებითი რაციონი მნიშვნელოვნად ფართოვდება, რის გამოც ე.წ. GUM რძის შემცველობაც ორიენტირებულია და განსაზღვრულია იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს ბავშვის ზრდას, მათ შორის ამგვარ რძეს აქვს რკინის მაღალი შემცველობაც.

სააგენტოს შეფასებით ცალკე პროდუქციულ ბაზარს განეკუთვნება ბავშვთა კვების ისეთი პროდუქტები, როგორიცაა ფაფები (რძიანი და ურძეო). ამგვარი მიდგომა აქვს განვითარებული ევროკომისიასაც.[11] სააგენტომ, განსახილველი კონცენტრაციის შეფასების მიზნებისათვის არ მიიჩნია საჭიროდ ამ მიმართულებით ბაზრის შემდგომი ქვეკატეგორიზაცია, რძიანი და ურძეო ფაფების ცალ-ცალკე პროდუქციულ ბაზრებად გამოყოფის გზით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბავშვთა კვების პროდუქტებიდან, განსახილველი კონცენტრაციის შეფასების მიზნებისათვის, სააგენტო ცალკე პროდუქციულ ბაზრად გამოყოფს იმგვარ მზა პროდუქტებს, რომლებიც განკუთვნილია 6-დან 36 თვემდე ასაკის ბავშვებისათვის და შეიცავენ სხვადასხვა ინგრედიენტებს. ასეთებია: პიურე, პუდინგი, იოგურტი და სხვა. ამასთან, მშობლები ბავშვებისათვის მსგავს პროდუქტებს ირჩევენ ბალანსირებული კვებითი რაციონის შესაქმნელად, თუმცა განსახილველი კონცენტრაციის შეფასების მიზნებისათვის სააგენტომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად ამგვარი პროდუქტების დამატებითი ქვეკატეგორიზაცია მათი გემოვნური თვისებების, კერძოდ, სიმჟავისა და სიტკბოს გათვალისწინებით. იდენტური მიდგომა აქვს განვითარებული ევროკომისიასაც.[12]

2016 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება M.8150 - DANONE / THE WHITEWAVE FOODS COMPANY, პარაგრაფი 41 და სხვა.

[11] კომისიის 2007 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება N COMP/M.4842 - DANONE / NUMICO, პარაგრაფი 28; კომისიის 2007 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება N COMP/M.4688 - NESTLE / GERBER, პარაგრაფი 14 და სხვა.

[12] კომისიის 2007 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება N COMP/M.4842 - DANONE / NUMICO, პარაგრაფი 25; კომისიის 2007 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება N COMP/M.4688 - NESTLE / GERBER, პარაგრაფი 14 და სხვა.

შესაბამისად, ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობის სპეციფიკიდან და მათი პროდუქციის ასორტიმენტიდან გამომდინარე, განსახილველი კონცენტრაციის შეფასების მიზნებისათვის, სააგენტოს მიერ ბაზრის ანალიზის ნაწილში ყურადღება გამახვილდება შემდეგი პროდუქციული ბაზრების შეფასებაზე: 1) საბავშვო რძე 0-დან 12 თვემდე ბავშვებისათვის; 2) საბავშვო რძე 1-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის; 3) რძიანი და ურძეო ფაფები; 4) ისეთი მზა პროდუქტები, როგორიცაა პიურე, იოგურტი და პუდინგი.

დამატებით, აღსანიშნავია ეკონომიკური აგენტების - შპს „ბიდი პლიუსისა“ (ს/ნ 400177615) და შპს „ბიდი ჰოლდინგის“ (ს/ნ 400342143) საქმიანობის სფეროები. კერძოდ, კომპანია შპს „ბიდი პლიუსის“ შემთხვევაში, მისი საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად სააგენტო განიხილავს საყოფაცხოვრებო ქიმიური, ჰიგიენური და თავის მოვლის საშუალებების ბაზარს მისი შემოდგომი ქვეკატეგორიაზაციის გარეშე. ანალოგიურად, კომპანია შპს „ბიდი ჰოლდინგის“ შემთხვევაში, ამ უკანასკნელის საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად სააგენტო მიიჩნევს - საკონსულტაციო მომსახურების ბაზარს.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

პროდუქციის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, თითოეულ შესაბამის ბაზართან მიმართებით აღსანიშნავია, რომ განსახილველი კონცენტრაციის გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვრა ეროვნული დონე.

გ) დროითი ჩარჩო

ვინაიდან, პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, თითოეულ შესაბამის ბაზართან მიმართებით აღსანიშნავია, რომ მათ არ გააჩნიათ კონკრეტული დროითი ჩარჩო.

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების საბაზრო წილების გამოთვლა:

ბაზრის ანალიზის პროცესში, სააგენტო ეყრდნობა აუცილებლობისა და თანაზომიერების პრინციპებს და ბაზრის ანალიზს ახორციელებს მიზნის მისაღწევად საჭირო და პროპორციული კვლევის ჩატარების გზით.

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის მოცულობა წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობას. „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი

სასაქონლო ბაზრის მოცულობა შესაძლებელია განისაზღვროს ქვეყანაში წარმოებული, ქვეყნიდან ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის მოცულობების გათვალისწინებით.

ბაზრის მოცულობის, მასზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობისა და მათი საბაზრო წილების გამოთვლის მიზნით, სააგენტომ სსიპ შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2024 წელს ბავშვთა კვების პროდუქტების, მათ შორის და არამხოლოდ: დედის რძის შემცვლელი პროდუქტების, ადაპტირებული რძის, რძის ფხვნილების, ფაფების, რძიანი დესერტების, ელექტროლიტების, რძიანი ფაფებისა და პუდინგების, პიურეების, ანტიკოლიკებისა და სხვა შესაბამისი პროდუქტების იმპორტის შესახებ.[13] მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, სააგენტომ დამატებითი ინფორმაცია გამოითხოვა შესაბამის ბაზრებზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგანაც. სააგენტომ 2024 წელს დედის რძის შემცვლელი ადაპტირებული ნარევის (0-დან 12 თვემდე ბავშვთათვის), რძის (1-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის), რძიანი და ურძეო ფაფებისა და საბავშვო კვების მზა პროდუქტების ბაზრების იმპორტის დონეებზე არსებული კონკურენტული გარემო შეაფასა და მასზე იმსჯელა სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 11 ივლისის N04/761 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმადაც ოთხივე შესაბამისი ბაზარი იმპორტის დონეზე ზომიერად კონცენტრირებულია, სამიზნე ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილი კი მცირეა.[14] რაც შეეხება 2025 წლის მონაცემებს, სააგენტომ შესაბამის ბაზრებზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან მიღებული ინფორმაციის[15] მიხედვით დაადგინა შემდეგი:

დედის რძის შემცვლელი ადაპტირებული ნარევი (0-დან 12 თვემდე ბავშვთათვის) შესაბამისი ბაზრის იმპორტის დონე - 2025 წელი:

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **11**;
- ბაზრის მოცულობა - **40 669 793.38** ლარი;
- ბაზრის კონცენტრაციის HHI ინდექსი - **1383.45**;
- შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ საბაზრო წილი - **%.**

[13] სააგენტოს 2025 წლის 20 მაისის N 02/2267 წერილი.

[14] გადაწყვეტილება იხ. https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phphF7mcY.pdf

[15] შპს „ავერსი-ფარმას“ 2026 წლის 03 აპრილის N01/3088 წერილი; შპს „ბეიბი ფუდის“ 2026 წლის 31 მარტის N01/2915 წერილი; სს „გეფას“ 2026 წლის 06 აპრილის N01/3112 წერილი; შპს „ვიმ-ბილ-დან-ის“ 2026 წლის 31 მარტის N01/2907 წერილი; შპს „მზიურის“ 2026 წლის 01 აპრილის 01/2997 წერილი; შპს „ნატურლენდის“ 2026 წლის 01 აპრილის N01/2995 წერილი; შპს „ნესტლე საქართველოს“ 2026 წლის 03 აპრილის N01/3084 წერილი; შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ 2026 წლის 01 აპრილის N01/2966 წერილი; შპს „შარმ თრეიდინგის“ 2026 წლის 02 აპრილის N01/3028 წერილები; შპს „პსპ ფარმას“ 2026 წლის 01 აპრილის N01/2949 წერილი; შპს „უნო გრუპის“ 2026 წლის 29 აპრილის N01/3724 წერილი; შპს „ჯეო ნუტრიშენის“ 2026 წლის 16 აპრილის N01/3353 წერილი; შპს „ჯისის“ 2026 წლის 31 მარტის N01/2925 წერილი.

ამდენად, ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულია და HHI მცირედით აღემატება დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაქსიმალურ (1250) მაჩვენებელს, სამიზნე კომპანიის, შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ საბაზრო წილი კი მცირეა.

რძის (1-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის) შესაბამისი ბაზრის იმპორტის დონე - 2025 წელი:

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **11;**
- ბაზრის მოცულობა - **17 794 895.97** ლარი;
- ბაზრის კონცენტრაციის HHI ინდექსი - **1893.41**;
- შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ საბაზრო წილი - **%.**

ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულია. სამიზნე კომპანიის, შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ საბაზრო წილი არ არის მაღალი, კერძოდ, იგი საგრძნობლად ჩამოუვარდება 30%-იან მაჩვენებელს.

რძიანი და ურძეო ფაფების შესაბამისი ბაზრის იმპორტის დონე - 2025 წელი:

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **11;**
- ბაზრის მოცულობა - **13 847 298.33** ლარი;
- ბაზრის კონცენტრაციის HHI ინდექსი - **1985.65;**
- შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ საბაზრო წილი - **%**.

ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულია. სამიზნე კომპანიის, შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ საბაზრო წილი მცირეა.

საბავშვო კვების მზა პროდუქტების (პიურე, იოგურტი, პუდინგი და სხვა) შესაბამისი ბაზრის იმპორტის დონე - 2025 წელი:

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **11;**
- ბაზრის მოცულობა - **13 551 166.5** ლარი;
- ბაზრის კონცენტრაციის HHI ინდექსი - **1702.8;**
- შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ საბაზრო წილი - **%**.

ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულია. სამიზნე კომპანიის, შპს „ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ საბაზრო წილი არ არის მაღალი.

რაც შეეხება კომპანია შპს „ბიდი პლიუსს“ (ს/ნ 400177615), როგორც აღინიშნა, იგი ოპერირებს საყოფაცხოვრებო ქიმიური, ჰიგიენური და თავის მოვლის საშუალებების ბაზარზე. შესაბამისი ბაზრის მოცულობის, მასზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობისა და მათი საბაზრო წილების გამოთვლის მიზნით, სააგენტომ სსიპ

შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2024 და 2025 წლებში საყოფაცხოვრებო ქიმიური, ჰიგიენური და თავის მოვლის საშუალებების იმპორტის შესახებ. მიღებული ინფორმაციის[16] მიხედვით დადგინდა შემდეგი:

საყოფაცხოვრებო ქიმიური, ჰიგიენური და თავის მოვლის საშუალებების შესაბამისი ბაზრის იმპორტის დონე - 2024 წელი

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **1400[17];**
- ბაზრის მოცულობა - **996 028 233.24** ლარი[18];
- ბაზრის კონცენტრაციის HHI ინდექსი - **259.7**;
- შპს „ბიდი პლიუსის“ საბაზრო წილი - **%.**

ამდენად, ბაზარი დაბალკონცენტრირებულია და HHI არსებითად ჩამოუვარდება დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაქსიმალურ (1250) მაჩვენებელს. შპს „ბიდი პლიუსის“ საბაზრო წილი მცირეა.

საყოფაცხოვრებო ქიმიური, ჰიგიენური და თავის მოვლის საშუალებების შესაბამისი ბაზრის იმპორტის დონე - 2025 წელი

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **1460**;
- ბაზრის მოცულობა - **1 139 197 264.15** ლარი;
- ბაზრის კონცენტრაციის HHI ინდექსი - **265.2**;
- შპს „ბიდი პლიუსის“ საბაზრო წილი - **%.**

შესაბამისად, ბაზარი დაბალკონცენტრირებულია და HHI არსებითად ჩამოუვარდება დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაქსიმალურ (1250) მაჩვენებელს. შპს „ბიდი პლიუსის“ საბაზრო წილი მცირეა.

რაც შეეხება კომპანია შპს „ბიდი ჰოლდინგს“ (ს/ნ 400342143), როგორც აღინიშნა, იგი ოპერირებს საკონსულტაციო (იურიდიული, ფინანსური, ბუღალტრული) მომსახურების ბაზარზე. შესაბამისი ბაზრის მოცულობის, მასზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობისა და მათი საბაზრო წილების გამოთვლის მიზნით, სააგენტომ სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2024 და 2025 წლებში საკონსულტაციო (იურიდიული, ფინანსური, ბუღალტრული) მომსახურების სფეროში მოქმედი ეკონომიკური აგენტების შესახებ. სააგენტომ ბაზრის ანალიზის პროცესში

[16] შემოსავლების სააგენტოს 2026 წლის 06 აპრილის N21-11/24340 წერილი (სააგენტოში რეგ. N01/3092).
[17] მხედველობაში იქნა მიღებული მხოლოდ ის სუბიექტები, რომელთა პროდუქციის წლიური ჯამური საიმპორტო ღირებულება 10 000 ლარი და მეტი იყო
[18] მხედველობაში მიღებულ იქნა პროდუქციის საბაჟო ღირებულება.

ასევე გამოიყენა სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების სისტემის მონაცემები. მიღებული ინფორმაციის[19] მიხედვით დადგინდა შემდეგი:

საკონსულტაციო მომსახურების ბაზარი - 2024 წელი

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **821**;
- ბაზრის მოცულობა - **429 524 105** ლარი;
- ბაზრის კონცენტრაციის HHI ინდექსი - **153.9;**
- შპს „ბიდი ჰოლდინგის“ საბაზრო წილი - **%.**

ბაზარი დაბალკონცენტრირებულია და HHI არსებითად ჩამოუვარდება დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაქსიმალურ (1250) მაჩვენებელს. შპს „ბიდი ჰოლდინგის“ საბაზრო წილი მცირეა. ბაზრის იმპორტის დონეზე წარმოდგენილია 821 კომპანია და შესაბამისად, ბაზარი გამოირჩევა კონკურენციის მაღალი ხარისხით.

საკონსულტაციო მომსახურების ბაზარი - 2025 წელი

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - **978**;
- ბაზრის მოცულობა - **997 498 657.4** ლარი;
- ბაზრის კონცენტრაციის HHI ინდექსი - **150.2;**
- შპს „ბიდი ჰოლდინგის“ საბაზრო წილი - **%.**

ბაზარი დაბალკონცენტრირებულია და HHI არსებითად ჩამოუვარდება დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაქსიმალურ (1250) მაჩვენებელს. შპს „ბიდი ჰოლდინგის“ საბაზრო წილი კი მცირეა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, კონცენტრაციების კონტროლის მიზანს წარმოადგენს პირთა მხოლოდ ისეთი კონცენტრაციის დაუშვებლობა, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას შესაბამის ბაზარზე, ხოლო თუ დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას, მიიღება გადაწყვეტილება დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ, სააგენტოს მიერ განხორციელებული ბაზრის ანალიზის, კონკრეტულად კი შეფასებული ბაზრების სტრუქტურის, აგრეთვე, კონცნეტრაციის მონაწილე მხარეებისა და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილების გათვალისწინებით, განხორციელებული კონცენტრაცია არ მოახდენს არსებით გავლენას კონკურენტულ გარემოზე.

[19] სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2026 წლის 03 აპრილის N5-710 წერილი (სააგენტოში რეგ. N01/3074).

IV. კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ დაადგინა, რომ ფ/პ გიორგი თვალაძის (პ/ნ) მიერ შპს ,,ფაინ თრი ინთერნეიშენალის“ (ს/ნ 405376828) 70%-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებული კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.